

შიდა აუდიტის სამსახურის წლიური (2022 წელი) ანგარიში

ს ა რ ზ ე ვ ი

1. შესავალი ----- 3 გვ.
2. მოკლე მიმოხილვა ----- 3 გვ.
3. ინფორმაცია შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ----- 4 გვ.
4. საშტატო ერთეულის ანალიზი ----- 7 გვ.
5. შიდა აუდიტორული შემოწმებების განხორციელებისას გამოვლენილი ძირითადი რისკები და გაცემული რეკომენდაციები ----- 7 გვ.
6. შემოწმებების შედეგად განხორციელებული რეაგირებები ----- 9 გვ.
7. შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული შესაბამისი ქმედებები და ინფორმაცია შეუსრულებელი რეკომენდაციების შესახებ ----- 9 გვ.
8. წინადადებები შიდა აუდიტის განვითარების შესახებ ----- 10 გვ.

შესავალი

აღნიშნული ანგარიში შედგენილია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად და მოიცავს ინფორმაციას 2022 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის პირველ იანვრამდე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ (შემდგომში- მაუწყებელი) შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის თაობაზე.

მოკლე მიმოხილვა

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი აღწერს, რომ „შიდა აუდიტი-დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობაა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინირებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას“

აღნიშნულიდან გამომდინარე შიდა აუდიტის ფუნქციაა უზრუნველყოფს ორი ძირითადი ტიპის საქმიანობის განხორციელება, რომლებიც განსხვავდება თავისი არსით:

- მარწმუნებელი მომსახურება
- საკონსულტაციო მომსახურება.

ინფორმაცია შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ინფორმაცია განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებების შესახებ

მაუწყებლის შიდა აუდიტის სამსახური საქმიანობას ახორციელებს შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესაბამისად. წლიური გეგმა, საანგარიშო წლის დაწყებამდე შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის წარდგინებით მტკიცდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.

გეგმის შედგენა ხდება პრიორიტეტების შეჯერების, მნიშვნელოვანი სფეროების გამოკვეთის საფუძველზე. სისტემაში შემავალი თითოეული რგოლის წინაშე არსებული რისკების გამო შიდა აუდიტის სამსახურის შესწავლისა და ანალიზის საგანი (შიდა აუდიტის ობიექტი) მრავალრიცხოვანია, მაგრამ გეგმის შედგენისას მხედველობაში მიიღება როგორც დრო, ასევე ადამიანური რესურსი.

თითოეული შიდა აუდიტორული შემოწმებისათვის შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი შეიმუშავებს და ამტკიცებს შიდა აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს შიდა აუდიტის მოქმედების სფეროს, ამოცანებს, ხანგრძლივობას, რესურსების განაწილებას, შიდა აუდიტის განხორციელების მეთოდებს, ფარგლებს, აუდიტის სახეს და სხვა.

შიდა აუდიტორული შემოწმების დაწყებამდე ხდება შიდა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის ინფორმირება აუდიტის ჩატარების შესახებ. აღნიშნული ხორციელდება ოფიციალური წერილის მეშვეობით, რომლითაც აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობას ოფიციალურად ეცნობება დაგეგმილი აუდიტის შესახებ. წერილს დანართის სახით ახლავს სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული შიდა აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა.

შიდა აუდიტის სამსახურმა 2022 წლის განმავლობაში განახორციელა სამი შიდა აუდიტორული შემოწმება.

მარწმუნებელ საქმიანობასთან ერთად, შიდა აუდიტი უწევს არაფორმალურ/ზეპირ საკონსულტაციო მომსახურებას მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულებს. (მაგალითად, პროფესიული რჩევის მიცემა შეიძლება განხორციელდეს ადვილად და დროულად დაწესებულებაში არსებული ყველა დაინტერესებული მხარისათვის.)

შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების განმარტების სახელმძღვანელო განსაზღვრავს საკონსულტაციო მომსახურებას, როგორც რჩევით და მომხმარებელთან დაკავშირებულ საქმიანობას, რომლის ბუნებაც და მასშტაბიც თავსებადია მომხმარებელთან, იგი ასევე მიზნად ისახავს ღირებულების გაზრდას, ორგანიზაციის

მმართველობით, რისკების მართვის და კონტროლის პროცესების გაუმჯობესებას მენეჯმენტისგან პასუხისმგებლობის აღების გარეშე. მაგალითად, განხილვა, რჩევა, ფასილიტაცია.

კონსულტაცია - ძირითად და მეორეხარისხოვან საკითხებზე, ფორმალურად და არაფორმალურად, როგორც პროცესის ნაწილი ან არაოფიციალური მოლაპარაკება-გახდა შიდა აუდიტის პროფესიის პრაქტიკის ნაწილი. აღნიშნული ხდება არა იმიტომ, რომ შიდა აუდიტორი მოულოდნელად კონსულტაციების გამწევი გახდა, არამედ, იმიტომ რომ საკონსულტაციო სერვისები ეტაპობრივად გაიზარდა და მენეჯმენტსა და შიდა აუდიტორს შორის მუდმივად არსებობს დიალოგი.

უნდ აღინიშნოს, რომ მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა არ გამორიცხავს ერთმანეთს. საკონსულტაციო მომსახურება ხშირად არის მარწმუნებელი საქმიანობის შედეგი, როგორც პირიქით, მარწმუნებელი საქმიანობა, შესაძლოა იყოს საკონსულტაციო მომსახურების შედეგი.

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტორთა საქმიანობისას ადგილი არ ჰქონია არანაირ შეზღუდვას.

მოქმედების სფერო (შიდა აუდიტორული შემოწმებების განხორციელებისას)

მაუწყებლის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე იცვლება შიდა აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა. ამასთან, პრიორიტეტების შეჯერებისა და მნიშვნელოვანი სფეროების გამოკვეთის, ადამიანური რესურსების გათვალისწინებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შესაბამისობის/სისტემური/ფინანსური აუდიტი. აქედან გამომდინარე, მოქმედების სფერო ძირითადად მოიცავს:

1. მივლინების პროცესში შემავალი ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება.
2. მაუწყებლის მიერ დამუშავებული ფინანსური ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება. არსებული რისკების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.
3. კოლეგიური ორგანოების (მმართველი საბჭო; სარედაქციო საბჭო; ტექნიკური განვითარების საბჭო; აუდიტორიის განვითარების საბჭო; ხარისხის განვითარების საბჭო საქმიანობის მაუწყებლის მიერ დადგენილ წესებთან/კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება, არსებული რისკების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

4. ადგილზე წამოჭრილი სხვა საკითხების შესწავლა.

განხორციელებული ღონისძიებები

შიდა აუდიტის 2022 წლის წლიური გეგმის საფუძველზე განხორციელდა შიდა აუდიტორული შემოწმებები შემდეგ ობიექტებში:

| N | აუდიტის ობიექტი | აუდიტის სახე | აუდიტის პერიოდი | რესურსი |
|---|---|---------------|----------------------------|---------|
| 1 | საკადრო ბაზის განვითარების, იურიდიული მხარდაჭერის, ფინანსური ეფექტიანობის სამსახური | სისტემური | 01.01.2021- 01.01.2022 | ორი |
| 2 | ფინანსური ეფექტიანობის სამსახური | ფინანსური | 01.01.2021 - 01.01.2022 | ორი |
| 3 | მაუწყებლის კოლეგიური ორგანოები | შესაბამისობის | 01.01.2020 - 01.01.2022 | ერთი |

შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად დგება შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი, რომელიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს, მიგნებებს და მოიცავს შიდა აუდიტის პროცესსა და გამოვლენილ ფაქტებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს.

შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი ეგზავნება შიდა აუდიტის ობიექტს იმ მიზნით, რომ მან წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება ანგარიშში დასმულ საკითხებზე.

შიდა აუდიტის ობიექტის მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები, მისი არგუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აისახება საბოლოო შიდა აუდიტორულ ანგარიშში.

შიდა აუდიტის ობიექტის მიერ მოსაზრების მიღებისა და მასთან კონსულტაციის შემდეგ საბოლოო სახით ყალიბდება შიდა აუდიტორული ანგარიში და ეგზავნება მაუწყებლის ხელმძღვანელ ორგანოებს.

საშტატო ერთეულის ანალიზი

მაუწყებლის შიდა აუდიტის სამსახურში 2023 წლის 01 იანვრამდე დასაქმებული იყო სამი თანამშრომელი, ხოლო 2023 წლის 01 იანვრიდან დასაქმებულია ორი თანამშრომელი.

2022 წლის განმავლობაში, საშტატო ერთეულის მთლიანი რესურსი მოხმარდა გეგმით გათვალისწინებულ შიდა აუდიტორულ შემოწმებებს.

საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები, ონლაინ რეჟიმში ესწრებოდნენ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტის - ჰარმონიზაციის ცენტრი, ორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგებს და ვებინარებს.

შიდა აუდიტორული შემოწმებების განხორციელებისას გამოვლენილი ძირითადი რისკები და გაცემული რეკომენდაციები

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილი და მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ მოუწესრიგებელი საკითხები:

- ✓ მაუწყებელი მუშაობს წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიისა და ხდევის დოკუმენტის გარეშე. შესაბამისად მაუწყებელს არ აქვს განსაზღვრული სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლებითაც მაუწყებელი იხელმძღვანელებს მოკლე და გრძელვადიან პერიოდში. არ არის ჩამოყალიბებული მაუწყებლის ხედვა, მისია და ღირებულებები, მიზნები/ამოცანები და მათი მიღწევის გზები. სტრატეგიული გეგმის გარეშე, მუშაობა რისკის შემცველია, რაც არ უწყობს ხელს სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, მიზნების მიღწევას და საქმიანობის შეფასებას;
- ✓ მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ არ არის შექმნილი პრიორიტეტების დოკუმენტი და შესაბამისად არ არის განსაზღვრული მაუწყებლის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელშიც უნდა აისახოს ინფორმაცია მაუწყებლის საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ. მაუწყებელი მუშაობს ე.წ. მუხლობრივი ბიუჯეტით, ბიუჯეტის არაგეგმიური (არასტრუქტურული) ხარჯვა და ასევე, წლიურ ბიუჯეტში დაგეგმილი და განუხორციელებელი ხარჯები საფრთხეს უქმნის წლიური ბიუჯეტის ეფექტიანად გამოყენებას;
- ✓ მაუწყებელში არ არის დანერგილი შესაბამისი კონტროლის სისტემები, რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფს მუხლობრივი ბიუჯეტის პირობებში ისეთი სახის კონტროლს რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოს არსებული რესურსების ეკონომიურად და ეფექტიანად გამოყენებას. კერძოდ მაუწყებლის არსებული ბიუჯეტი (განმარტებითი ბარათი, დანართები, სადაც ჩაშლილია ხარჯების დასახელება/საჭიროება) არ შეიცავს დეტალურ

ინფორმაციას წლის განმავლობაში მისაღწევი შედეგების შესახებ, რის გამოც რთულია წინასწარ გაკეთდეს პრევენცია და შეფასდეს გაწეული მომსახურების თუ მიღებული შედეგის ხარისხი, ამასთან არსებულ პირობებში სათანადოდ ვერ ფასდება მიღწეული შედეგის მიზანშეწონილობა დახარჯულ რესურსთან მიმართებაში;

- ✓ მაშინ როდესაც არსებული კონტროლის სისტემები ვერ უზრუნველყოფს ბიუჯეტის ხარჯვის (ათვისების) შედეგად მიღწეული შედეგის სათანადო შეფასებას მეტია რისკი არაეფექტური ხარჯების გაწევის, რაც არაეფექტური კონტროლის პირობებში კიდევ უფრო მეტად ზრდის რისკს;
- ✓ მაუწყებელში ახალი თანამშრომლის მიღება, არსებულ თანამშრომელთა შორის ფუნქცია-მოვალეობის განაწილება ხდება საჭიროებათა კვლევისა და ანალიზის გარეშე, არ არის განსაზღვრული თანამშრომელთა მიღების წესი, რაც ზრდის მაუწყებელში არასწორი საკადრო პოლიტიკის განხორციელების რისკს;
- ✓ მაუწყებელში არ არის განსაზღვრული სახელფასო პოლიტიკა (ანაზღაურების სისტემა). შესაბამისად მაუწყებელში სახელფასო სისტემა არის მოუწესრიგებელი, ბუნდოვანი და სუბიექტური;
- ✓ მაუწყებელი მუშაობს დასაქმებული პერსონალის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის გარეშე. შესაბამისად, მაუწყებელს არ აქვს განსაზღვრული, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ორგანიზაციამ თავის მიზანს ადამიანური რესურსის საშუალებით მოკლე და გრძელვადიან პერიოდში;
- ✓ მაუწყებლის კოლეგიური ორგანოები არ ასრულებენ მაუწყებლის/კოლეგიური ორგანოების დებულებებით დაკისრებულ მოვალეობას და ვერ უზრუნველყოფენ შიდა კონტროლის გამართულ ფუნქციონირებას. მაუწყებელში მენეჯერული ანგარიშვალდებულება არის მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მაუწყებელში ეფექტური მმართველობითი ღონისძიებების განხორციელებაზე. მენეჯერული ანგარიშვალდებულების არარსებობის პირობებში მაღალია არაეფექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკი.
- ✓ მაუწყებელში შიდა კონტროლის სისტემა არის არაეფექტური, რაც ზრდის თაღლითობის და კორუფციის რისკს. (მაგ: დასაქმებულთა კვალიფიკაციის, დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობის კონტროლის სისტემების არარსებობა, კერძოდ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებზე, შრომის ანაზღაურების კანონმდებლობით მოთხოვნათა დარღვევით გაანგარიშება/გაცემა, ხელშეკრულების გაფორმება/ვალდებულების აღება კანონმდებლობით დადგენილი ფორმის დაუცველად - მრჩეველთა საბჭოს თანხმობის გარეშე, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის სპონტანური, დაუსაბუთებელი ცვლილებები, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების არასათანადო კონტროლი (სატელევიზო სტუდიის მოწყობის სამუშაოები), შრომის ანაზღაურების ოდენობის სუბიექტურად განსაზღვრა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გარეშე, მივლინების პროცესის არასისტემურობა,

ე.წ. მკვდარი/არასაჭირო არასაშტატო და საშტატო პოზიციების არსებობა, საიჯარო ხელშეკრულებების არაეფექტური მართვა, რის შედეგადაც არსებობს რისკი, რომ მაუწყებელმა დაკარგოს დაგეგმილი შემოსავალი/სარგებელი - საიჯარო ქონება ქ. ბათუმი, ორბელიანის N31 - მოიჯარე შპს ივენთ ჰოლი ბათუმი“).

შემოწმების შედეგად განხორციელდა შემდეგი სახის რეაგირებები:

შიდა აუდიტორული ანგარიშის მიზანს, ნაცვლად უბრალოდ პრობლემების გამოაშკარავებისა, წარმოადგენს პრობლემების გადაჭრის ხერხების ძიება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგები, რისკები, ასევე, მაქსიმალურად დაკონკრეტებული და შესრულებადი რეკომენდაციები აისახება შიდა აუდიტორულ ანგარიშში, რომელიც წარმოადგენს შიდა აუდიტორული შემოწმების საბოლოო შედეგს და მიეწოდება შიდა აუდიტის ობიექტს და მაუწყებლის ხელმძღვანელ ორგანოებს შემდგომ მუშაობაში გასათვალისწინებლად.

შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული შესაბამისი ქმედებები და ინფორმაცია შეუსრულებელი რეკომენდაციების შესახებ

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ძირითადი საკითხები, კვლავ შეუსრულებელია, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე რომ მაუწყებელში არ მუშაობს თაღლითობისა და გადაცდომის შემაკავებელ ძირითადი საშუალება - შიდა კონტროლის სისტემა.

აღნიშნული სისტემის დაენერგვა და მართვა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ევალება დაწესებულების ხელმძღვანელს. აქედან გამომდინარე, თაღლითობის პრევენციის და აღმოჩენის პასუხისმგებლობა საბოლოო ჯამში აკისრია მაუწყებლის ხელმძღვანელ ორგანოებს.

შიდა აუდიტის სუბიექტის მოვალეობაა დაეხმაროს დაწესებულების ხელმძღვანელს აღნიშნული სისტემის ადეკვატურობის და ეფექტიანობის შეფასებაში და სისუსტეების აღმოჩენაში. შიდა აუდიტის სუბიექტი არ იძლევა აბსოლუტურ გარანტიას, რომ დაწესებულებაში ადგილი არ ექნება კანონთან შეუსაბამო ქმედებას, რადგან საუკეთესო და

სრულყოფილი შიდა კონტროლის სისტემაც კი მხოლოდ ამცირებს, მაგრამ სრულად ვერ აღმოფხვრის თაღლითობის ან შეუსაბამობის არსებობის ალბათობას.

მაუწყებელში მოუწესრიგებელი საკითხები აჩვენებს, რომ დაწესებულება დგას მთელი რიგი თაღლითობის და კორუფციის რისკების წინაშე, იქნება ეს შიდა თუ გარე ფაქტორებით გამოწვეული რისკები. როგორც წესი, არსებული თაღლითობის და შეუსაბამობის რისკის გაზომვა ხდება მათი რეალიზების ალბათობითა და იმ ფულადი და რეპუტაციული ზეგავლენით/ზარალით, რაც შესაძლოა ასეთ ფაქტს მოჰყვეს.

შიდა აუდიტის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პროცესებში არსებულ თანდაყოლილ რისკებს გააჩნიათ შიდა კონტროლის მექანიზმები, უნდა ითქვას, რომ რისკების დონე საკმაოდ მაღალია და მნიშვნელოვნად აღემატება რისკების დასაშვებ დონეს.

ვინაიდან, რისკების დონე საკმაოდ მაღალია, მაუწყებლის ხელმძღვანელობის მხრიდან საჭიროებს სასწრაფოდ ყურადღების მიქცევას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ არ მოხდება შიდა კონტროლის სისტემების დანერგვა/გაუმჯობესება და თანდაყოლილი რისკების მართვა, უდაოდ გამოიწვევს:

- ფინანსურ დანაკარგებს;
- მაუწყებლის საქმიანობის და მიზნების მიღწევის შეფერხებას;
- დადგენილ წესებთან შეუსაბამობას.

წინადადებები შიდა აუდიტის განვითარების შესახებ

სამსახური საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, სამსახურის დებულების, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის და შიდა აუდიტის სფეროს მარეგულირებელი სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად და მაუწყებლის წინაშე არსებული პრიორიტეტების, მაუწყებლის სისტემის თითოეული რგოლის წინაშე არსებული რისკების გათვალისწინებით.

სამსახურის მიზანია დანერგოს და გააუმჯობესოს მაუწყებლის სისტემაში რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესები, რათა უზრუნველყოს აუდიტის მართვადობა, რისკიანი სფეროების/ობიექტების გამოკვეთა/დასაბუთება და ადეკვატური სახის აუდიტორული შემოწმებების განხორციელება, აუდიტის გეგმის სანდოობა, ასევე, საკადრო რესურსის ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენება.

შიდა აუდიტის უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის მიერ გაცემული და შიდა აუდიტის ობიექტთან შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მაუწყებლის ხელმძღვანელი

ორგანოების მიერ გატარდეს სათანადო მმართველობითი ღონისძიებები, წინააღმდეგ შემთხვევაში რისკის მართვის პროცესების ეფექტურობა და მათ გაუმჯობესება ვერ იქნება მიღწეული.

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი:

ზვიად ბერიძე

16.01.2023 წ.